საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5758
30/09/2022

5758-21-2-202209301017

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძეს
მის: ქ. ქუთაისი, ნ. ბარათაშვილის ქ. №26
ელ.ფოსტა: ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4138 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №8-ში, მეორადი პოლიეთილენის (დანაწევრებული თოკები) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- პროექტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია დასამუშავებლად მისაღები და დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტისა და პირობების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი საწარმოს განთავსების GPS კოორდინატები საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში დასაზუსტებელია დასამუშავებლად გათვალისწინებული ნარჩენის კოდი, კერძოდ, კოდი 15 01 02 წარმოადგენს პლასტმასის შესაფუთ მასალას. ხოლო, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოში ხორციელდება დანაწევრებული თოკების გადამუშავება;
- პროექტში მოცემული ინფორმაციის თანახმად ნარჩენის დაქუცმაცებისას დანაკარგი არის 10%, რომელიც წარმოადგენს პოლიმერულ მტვერს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საყურადღებოა. მიზანშეწონილია კომპანიის მხრიდან მოხდეს საწარმოო ნარჩენის (პოლიმერული მტვერი) დაჭერა და მისი შესაძლებლობის შემთხვევაში ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება. იმ შემთხვევაში თუ მოცემული ნარჩენის გამოყენება შეუძლებელია, აღნიშნულის შემდგომი მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსითა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს მიმდებარედ განთავსებულია ი/მ გიორგი ჩხიკვაძის და ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული

გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ობიექტიდან დაახლოებით 240 მეტრში განთავსებულია ი/მ პეტრე მაჭავარიანის და 380 მეტრში შპს „უ&ნ ჯგუფის“ პლასტმასის (პოლიეთილენის) ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმოები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში შეფასებული უნდა იქნეს არსებული და დაგეგმილი საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება;

- ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 „ნარჩენების შეგროვების, წინასწარი დამუშავებისა და დროებით შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება რეგისტრაციას დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს, რომელიც ხორციელდება ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge);
- წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოში დამონტაჟებული დანადგარების შესახებ ინფორმაცია და მათი საპასპორტო მონაცემები (სახელმწიფო ენაზე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო